



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**



N 17, 2021

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
შპს დენიზის საბადომ გაზის მოპოვება 8.5% -ით გაზარდა.....	2
ინდოეთის კრიზისი ნავთობზე მოთხოვნის აღდგენას აფერხებს	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
რეაბილიტაციის შემდეგ „ენგურჰესი“ ისევ ამუშავდა	3
გადავადდება თუ არა ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედება?	4
განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა.....	4
გიორგი ჩიქოვანი: “მწვანე წყალბადის წარმოების განვითარება ელექტროენერჯის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილება”	4
იაპონია წყალბადის ენერგეტიკის განვითარებაზე 3,4 მლრდ დოლარს გამოყოფს	5
კლიმატის ცვლილება.....	6
ეკონომიკისა და გარემოს დაცვის მინისტრებმა ევროკავშირის ენერგეტიკულ გაერთიანებას ნამახვანჭესის შესახებ წერილით მიმართეს	6
ჩინეთს სურს 2060 წლისთვის კარბონ-ნეიტრალური ქვეყანა გახდეს	6
პუბლიკაციები.....	7
ღონისძიებები	7

ნავთობი და გაზი

შაჰ დენიზის საბადომ გაზის მოპოვება 8.5% -ით გაზარდა

წელს აზერბაიჯანის შაჰ დენიზის საბადოზე გაზის წარმოება გაიზარდა 8,5%-ით, კონდენსატის - 1,3%-ით. ამის შესახებ ირკვევა BP-აზერბაიჯანის ანგარიშიდან, რომლის მიხედვით, 2021 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში შაჰ დენიზ ბრავოსა და შაჰ დენიზ ალფას პლატფორმებმა 5,1 მილიარდი სტანდარტული კუბური მეტრი გაზი და 1 მილიონი ტონა (7,8 მილიონი ბარელი) კონდენსატი აწარმოეს. შაჰ დენიზის ქარხნების სიმძლავრეა 58 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი გაზი დღეში და 21 მილიარდი კუბური მეტრი გაზი წელიწადში.

წლის განმავლობაში, შაჰ დენიზის საბადოდან გაზის მიწოდება გრძელდებოდა აზერბაიჯანის (SOCAR), საქართველოს (GOGC), თურქეთის (BOTAS) და BTC-ის ბაზრებზე მრავალი ობიექტისთვის.

ცნობისთვის, შაჰ დენიზის საბადოზე პერსპექტიული რაიონების ძიების, განვითარების და საერთო წარმოების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 1996 წლის 4 ივნისს. წარმოების განაწილების ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნა 1996 წლის 17 ოქტომბერს.

პროექტის მონაწილეები არიან BP (ოპერატორი - 28,8%), AzSD (10%), SGC Upstream (6,7%), Petronas (15,5%), LUKoil (10%), NIKO (10%) и TPAO (19%).

<https://cutt.ly/0bcFt0s>

ინდოეთის კრიზისი ნავთობზე მოთხოვნის აღდგენას აფერხებს

ინდოეთი, რომელიც აშშ-სა და ჩინეთის შემდეგ, ნავთობის მსოფლიოში სიდიდით მესამე მომხმარებელია, ეკონომიკის გახსნის შემდეგ ნავთობზე მოთხოვნის აღდგენის მთავარი მამოძრავებელი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ქვეყანაში ჯანდაცვის დამანგრეველმა კრიზისმა ეს შეუძლებელი გახადა. ამის გამო, ნავთობის მოვაჭრეებიდან დაწყებული, მსოფლიოს უდიდესი მწარმოებლებით დამთავრებული ყველა პანიკაშია.

ინდოეთი ნავთობზე მოთხოვნის ზრდის ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო ჩინეთთან ერთად, სადაც პანდემია კონტროლს ექვემდებარება და აშშ-სა და დიდი ბრიტანეთთან ერთად, სადაც ფართომასშტაბიანმა ვაქცინაციამ საშუალება მისცა ქვეყნებს ეკონომიკურ საქმიანობა და მოგზაურობა ეტაპობრივად განეახლებინათ. კეთდებოდა პროგნოზები, რომ ინდოეთის მოთხოვნა ნავთობზე სავარაუდოდ, პრე-პანდემიურ დონეზე უფრო მაღალი ან მასთან მიახლოებული იქნებოდა, თუმცა ეს პროგნოზები ახლა გადასინჯვას საჭიროებს.

ინდოეთში დიზელისა და ბენზინის კომბინირებული მოხმარება აპრილში მარტთან შედარებით, სავარაუდოდ, 20%-ით შემცირდება, რადგან დიდ ქალაქებში, როგორცაა ახალი დელი და მუმბაი, მოძრაობა თითქმის გაჩერებულია.

სახლში დარჩენის მოწოდება სავარაუდოდ, ზიანს მიაყენებს საავტომობილო საწვავზე მოთხოვნას, რომელსაც აქამდე მასობრივი გადაადგილება- საზოგადოებრივი ტრანსპორტით, კერძო მანქანებითა და მოტოციკლებით ხელს უწყობდა. შეზღუდვები

ასევე შეეხო სატვირთო მანქანებსა და ავტობუსებს. All India Motor Transport Congress-ის მიხედვით, მათი მუშაობა განახევრდა.

მოთხოვნის შემცირების საპასუხოდ, სავარაუდოდ შემცირდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მუშაობაც, რაც ნედლი მარაგების დაგროვებას გამოიწვევს და სამომავლო შესყიდვებზე მდგომარეობის გამოსწორების შემდეგაც მოახდენს გავლენას.

ამასთან, საწვავზე მოთხოვნაზე გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხრეთ აზიის ქვეყნით. ქვეყნები გაერთიანებული სამეფოდან კანადამდე, იწყებენ ინდოეთთან საჰაერო მიმოსვლის აკრძალვას, რაც ასევე გავლენას მოახდენს საავიაციო საწვავის საერთაშორისო მოთხოვნაზე.

<https://cutt.ly/8bcFi08>

ელექტროენერგეტიკა

რეაბილიტაციის შემდეგ „ენგურჰესი“ ისევ ამუშავდა

სადერივაციო გვირაბის 3-თვიანი რეაბილიტაციის შემდეგ „ენგურჰესი“ ერთიან ქსელში ჩაერთო - ამის შესახებ ინფორმაციას ჰეს-ის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„2021 წლის 27 აპრილს, 17.40-ზე ენგურჰესი ერთიან ქსელში ჩაერთო. სადერივაციო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმატებით დასრულების შემდეგ, ქვეყნის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროაგრეგატები უკვე ამუშავდა. ვულოცავთ თითოეულ ენგურჰესელს, ყველა იმ ადამიანს, ვინც რეაბილიტაციის პროცესში იყო ჩართული და საქართველოს ენერგეტიკის გულშემმატკივრებს ამ მნიშვნელოვან მოვლენას!

აღსანიშნავი, რომ 2021 წლის 20 იანვარს, სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით, ენგურჰესი გაჩერდა. სარემონტო სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობდა. გვირაბის რეაბილიტირებული მონაკვეთის ინსპექტირება ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა ერთობლივად განახორციელეს. მხარეების შეფასებით, შესრულებული სარემონტო სამუშაოები დადგენილ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ცნობისათვის, „ენგურჰესის“ მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები იანვარში დაიწყო. ჰესის ხუთივე აგრეგატი სადერივაციო გვირაბში აუცილებელი და გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების მიზნით 2021 წლის 20 იანვარს გაჩერდა. ჰესის რეაბილიტაციის პროექტის მთლიანი ღირებულება 45 მლნ ევროა, 38 მლნ ევრო EBRD-ის სესხია და 7 მლნ ევრო ევროკავშირის გრანტი. რეაბილიტაციის შედეგად სადგურის წლიური გამომუშავება დაახლოებით 100 მილიონი კილოვატ საათით გაიზრდება.

<https://cutt.ly/abcFaEt>

გადავადდება თუ არა ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედება?

ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმის ფარგლებში, 1-ლი ივლისიდან საქართველოში ენერგეტიკული ბირჟა უნდა ამოქმედდეს, სადაც მსხვილმა საწარმოებმა და გენერაციის ობიექტებმა ელექტროენერგიით უნდა ივაჭრონ.

თუმცა ბაზრის მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ აღნიშნულ პლატფორმაზე ვაჭრობისთვის მზად არაა და უმჯობესი იქნება, თუკი რეფორმის ეს ნაწილი დროებით გადავადდება.

როგორც „ბიზნეს ფორმულასთან“ საუბარში ენერგეტიკული ბირჟის დირექტორმა, ირინა მილორავამ განაცხადა, ამ ეტაპზე პლატფორმა სატესტო რეჟიმში მუშაობს, რომლის ფარგლებში სხვადასხვა ხარვეზი გამოიკვეთა, მათ შორის ბაზრის მონაწილეების მზაობის მიმართულებით. მისი თქმით, როგორც ბირჟის, ასევე ენერგეტიკის დარგის რეფორმის სხვა კომპონენტების დათქმულ ვადაში ამოქმედება ტექნიკურ და ასევე, ბაზრის მონაწილეების მზაობაზე იქნება დამოკიდებული.

„დავიწყეთ კომპლექსური ტესტირებები, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეები ვაჭრობენ როგორც ბირჟაზე, ასევე საბალანსო ბაზარზე. ეს სატესტო რეჟიმი გვაჩვენებს ყველაფერს და თუკი ამ პერიოდში რაიმე ისეთი პრობლემა გამოიკვეთა, რომელიც მეტ დროს მოითხოვს, ბუნებრივია, ჩვენ ამას მომზადებულები შევხვდებით. ქვეყნები ამ მოდელზე წლების განმავლობაში გადადიოდნენ, ჩვენ საკმაოდ ამბიციური ვადები გვაქვს აღებული. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ბირჟა 1-ლი ივლისიდან სრულად ამოქმედდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რამდენად მზად იქნებიან თავად კომპანიებიც“, – განაცხადა ენერგეტიკული ბირჟის დირექტორმა.

ამასთან, სექტორში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, 1-ლი ივლისიდან დამატებით 23 მსხვილი საწარმო თავისუფალ ბაზარზე უნდა გავიდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ელექტროენერგია პირდაპირ გენერაციის ობიექტებისგან ან ესკოსგან უნდა იყიდონ. კომპანიებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა ენერგეტიკულ ბირჟაზე ივაჭრონ.

<https://cutt.ly/WbcFdKU>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

გიორგი ჩიქოვანი: “მწვანე წყალბადის წარმოების განვითარება ელექტროენერჯიის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილება”

„მწვანე წყალბადის წარმოების განვითარება ელექტროენერჯიის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილება“ – ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორმა, გიორგი ჩიქოვანმა ფონდის მიმდინარე და სამომავლო პროექტების პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს გააჩნია განახლებადი ენერჯიის პროექტების განვითარების დიდი, აუთვისებელი პოტენციალი.

გიორგი ჩიქოვანის განცხადებით, ბოლო წლებია საქართველოში საჯარო და კერძო სექტორი აქტიურად მუშაობს მწვანე წყალბადის შესწავლის საკითხებზე. პერმანენტულად ტარდება სხვადასხვა სახის საერთაშორისო და ადგილობრივი სემინარები და შეხვედრები, სადაც ხდება მსოფლიო ტენდენციების განხილვა და საქართველოს როლის განსაზღვრა მწვანე წყალბადის საერთაშორისო რუკაზე.

„ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობით, ვმუშაობთ მწვანე წყალბადის წარმოებისთვის საჭირო რესურსების შეფასების ანგარიშის მომზადებაზე, ასევე მიმდინარეობს მწვანე წყალბადის ტრანსპორტირების საკითხის შესწავლა“, - აღნიშნა გიორგი ჩიქოვანმა.

მისივე თქმით, აღნიშნული კვლევების დასრულების შემდგომ, დონორი ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ექსპერტების ჩართულობით, იგეგმება მწვანე წყალბადის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივ და უცხოურ ინვესტორებს, ზუსტად დაინახონ და შეაფასონ საქართველოში მწვანე წყალბადის განვითარების ბიზნეს პოტენციალი.

„პარალელურად მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება მწვანე წყალბადის წარმოების, ტრანსპორტირების და ვაჭრობის საკითხები. ასევე მიმდინარეობს მწვანე წყალბადის პროექტების ხელშეწყობის მექანიზმებზე მუშაობა“, - განაცხადა გიორგი ჩიქოვანმა.

ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორის თქმით, მიმდინარე წელს მწვანე წყალბადის საპილოტე პროექტის დაწყება იგეგმება.

<https://cutt.ly/MbcFhUy>

იაპონია წყალბადის ენერგეტიკის განვითარებაზე 3,4 მლრდ დოლარს გამოყოფს

იაპონიის ხელისუფლება ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის ენერგეტიკის პროექტებისთვის 370 მილიარდ იუანს (3,4 მლრდ აშშ დოლარს) გამოყოფს. ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო Kyodo ავრცელებს.

პროექტების კოორდინატორი ენერჯის ახალი წყაროების განვითარებისა და სამრეწველო ტექნოლოგიების ორგანიზაცია (NEDO) იქნება. ამავდროულად, პროექტებს შეიმუშავებს და შეაფასებს იაპონიის ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი.

დაფინანსებული პროექტები შეეხება გათხევადებული წყალბადის პრაქტიკულ ტექნოლოგიას, ქსელში მათ მიწოდებასა და წყლისგან ეკოლოგიურად სუფთა გზით წყალბადის მიღებას. გარდა ამისა, დაფინანსდება ქარის ენერჯის თვითღირებულების დაწვევისა და ახალი თაობის შემკრები აკუმულატორების შექმნის პროექტი.

ყველა ეს პროექტი ოქტომბრამდე უნდა დაიწყოს. იაპონიის ხელისუფლებას უკვე აქვს მიღებული გადაწყვეტილება სამრეწველო და საავტომობილო გამონაბოლქვის სრულად განულების პროექტებზე 2 ტრილიონი იუანის (18,4 მლრდ დოლარის) გამოყოფის შესახებ. ქვეყანამ სამრეწველო-საავტომობილო გამონაბოლქვი 2050 წლამდე უნდა გაანულოს.

<https://cutt.ly/nbcFk2j>

კლიმატის ცვლილება

ეკონომიკისა და გარემოს დაცვის მინისტრებმა ევროკავშირის ენერგეტიკულ გაერთიანებას ნამახვანჭესის შესახებ წერილით მიმართეს

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, არასამთავრობო სექტორთან დიალოგის პროცესში ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების დავების გადაწყვეტისა და მოლაპარაკების ცენტრი ჩაერთვება. ამ ორგანიზაციისადმი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრების ერთობლივი წერილის თანახმად, ნამახვანჭესის პროექტთან დაკავშირებით არსებული დისკუსიის პროცესში ნეიტრალური მხარის, ენერგეტიკული გაერთიანების შუამავლობა სასარგებლო იქნება ნდობის განმტკიცებისთვის, ასევე დისკუსიის პროცესის სწორად და საქმიანად წარმართვისთვის.

„მაღლიერი ვიქნებით თქვენი, როგორც ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დავების გადაწყვეტისა და მოლაპარაკების ცენტრის თავმჯდომარის, მიერ აღნიშნული პროცესით დაინტერესებითა და პერსონალური ჩართულობით, რომლის დროსაც შედეგზე კომუნიკაცია როგორც მთავრობის, ასევე ნამახვანჭესის პროექტის მოწინააღმდეგე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის“, – ნათქვამია წერილში.

წერილის მიხედვით, მთავრობა მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ყველა დოკუმენტის, კვლევისა და პროცედურის (მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის) შესწავლა ევროკავშირის კანონმდებლობისა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად. ასევე შესაძლებელი იქნება მრავალმხრივი დისკუსიების ორგანიზება, რათა გამოვლინდეს და განხილული იქნას ყველა ლეგიტიმური კითხვა.

„საქართველოს მთავრობა მტკიცედ ემხრობა ენერგეტიკის სექტორში კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლისა და დეკარბონიზაციის პოლიტიკას განახლებადი ენერჯის წყაროების პოტენციალის შემდგომი განვითარების გზით. ჩვენ, როგორც ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი ქვეყანა, ამას გავაკეთებთ, როგორც ევროსაბჭოს კანონმდებლობის, ასევე გარემოს დაცვის, უსაფრთხოების, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად. საქართველოში, ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, განახლებადი ენერჯის პროექტები მწვავე დისკუსიის საგანი გახდა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ამიტომ, მთავრობა მიზნად ისახავს, გამონახოს ბალანსი განახლებადი ენერჯის პოპულარიზაციისა და შესაძლო დამატებით ღონისძიებებს შორის“, – აღნიშნულია განცხადებაში.

<https://cutt.ly/5bcFzSe>

ჩინეთს სურს 2060 წლისთვის კარბონ-ნეიტრალური ქვეყანა გახდეს

ჩინეთის მთავრობა ქვეყანაში ნახშიროჟანგის გამონაბოლქვს, რომელიც 2030 წელს პიკს მიაღწევს, 2060 წლისთვის ნულამდე დაიყვანს და ჩინეთი „კარბონ-ნეიტრალური“ ქვეყანა გახდება. ამ გეგმის შესახებ ჩინეთის წარმომადგენლებმა აშშ-ის მიერ ორგანიზებულ კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის სამიტზე ისაუბრეს.

პირველად ამის შესახებ ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინმა 2020 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

თავის მხრივ, აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ ამერიკის მთავრობა 2030 წელს, 2005 წელთან შედარებით, მანვე გამონახობის 50-52%-ით შემცირებას გეგმავს, ხოლო 2050 წლისთვის ქვეყნის ეკონომიკა ნულოვანი გამონახობით იმუშავებს. სამიტზე ბაიდენმა განაცხადა, რომ 2035 წლისთვის ამერიკის ენერგოსექტორი სრულად იტყვის უარს ნახშირორქანით ჰაერის დაბინძურებაზე. ამ მიზნით აშშ კლიმატის ეროვნულ სტრატეგიას ამუშავებს, რომელიც წლის ბოლომდე გამოქვეყნდება.

ბაიდენის თქმით, გლობალურ დათბობასთან ბრძოლა აშშ-ის ეკონომიკას დაეხმარება და მილიონობით ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, რაც სუფთა ენერჯის მისაღებად ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესშიც მოხდება.

<https://cutt.ly/lbcFcFg>

პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგინებთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

ტექნიკური ანგარიში ევროკავშირის გათბობის სექტორის დეკარბონიზაციის შესახებ

გათბობისა და გაგრილების სექტორი ევროკავშირის მიერ აღიარებულია, როგორც პრიორიტეტი დეკარბონიზაციისა და ენერგოეფექტურობის მიზნების მისაღწევად. შენობების გათბობა-გაგრილება ევროპაში ენერჯის საბოლოო ჯამური მოხმარების თითქმის 40%-ს შეადგენს. ეს ანგარიში ფოკუსირებულია სითბოს და ელექტროენერჯის სექტორების ინტეგრაციაზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეფექტურმა ინტეგრაციამ ხელი შეუწყოს ენერგოეფექტურობას და კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნებს.

<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/208e7048-b406-11e9-9d01-01aa75ed71a1/language-en>

ღონისძიებები

ენერგოეფექტურობის დაფინანსების ვირტუალური ფორუმი 2021

თარიღი: 25–26 მაისი, 2021

ორგანიზატორი: ენერგოეფექტური ეკონომიკის ამერიკული საბჭო (ACEEE)

ადგილი: ვირტუალური ღონისძიება

<https://www.ecee.org/events/calendar/event/2020-energy-efficiency-finance-forum/>

ენერგოეფექტური ეკონომიკის ამერიკული საბჭოს (ECEE) 2021 წლის ენერგოეფექტურობის საზაფხულო სკოლა

თარიღი: 7-11 ივნისი, 2021

ადგილი: ვირტუალური ღონისძიება

პრეზენტაციები განაწილებულია ცხრა პანელში და მოიცავს ენერგოეფექტურობის საკითხების ფართო სპექტრს:

პანელი 1. ენერგომომხმარება და კეთილდღეობა

პანელი 2. პოლიტიკის ინოვაციები ქმედებათა მასშტაბურობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად

პანელი 3. პოლიტიკა, ფინანსები და მმართველობა

პანელი 4. მონიტორინგი და შეფასება გონივრული, სწრაფი და ინკლუზიური გადასვლისთვის

პანელი 5. ახალი გონივრული სტარტი მდგრადი საზოგადოებისთვის

პანელი 6. ტრანსპორტი და მობილობა

პანელი 7. პოლიტიკა მწვანე აღდგენისათვის შენობების სექტორში

პანელი 8. შენობები: ენერგოეფექტურობის მიღმა მყოფი ტექნოლოგიები და სისტემები

პანელი 9. პროდუქცია, ხელსაწყოები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

<https://www.ecee.org/summerstudy/>

მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

მე-16 კონფერენცია ენერგეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერგეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა "Kostis Palamas"

<https://promitheasconference.wordpress.com/>